თამაზ ზუბიაშვილი[1]

მოსახლეობის კურსის სწავლების მეთოდოლოგიის ზოგიერთი ასპექტი

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება უნივერსიტეტში მოსახლეობის კურსის სწავლების ეფექტური მეთოდების საკითხებს. განხილულია მოსახლეობის კურსის სწავლების პროცესის და გამოყენებული პედაგოგიკის ძირითადი კომპონენტები და ორგანიზაცია. ასევე, განხილულია დემოგრაფიული პოლიტიკის აქტუალური პრობლემები მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში და მათი როლი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

ნებისმიერი რეგიონის ეკონომიკური, ინტელექტუალური და პოლიტიკური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა დემოგრაფიული ფაქტორი, როგორც საზოგადოების დამოუკიდებელი ფუნდამენტური კომპონენტი. მოსახლეობა სულიერი და მატერიალური სიკეთის მთავარი მწარმოებელი და მომხმარებელია. ამავე დროს, ის არის ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა, საზოგადოების ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი საფუძველი. ნებისმიერი მასშტაბის ტერიტორიების განვითარებისთვის (გლობალურიდან ლოკალამდე) მოსახლეობის დემოგრაფიული სისტემის ფუნქციონირების შესწავლა მისი ყველა მახასიათებლით და დაგროვილი გამოცდილებითა და ინფორმაციით შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის აგების აუცილებელი კომპონენტია. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ ზემოთ აღნიშნული საკითხების სწორად შემეცნებისთვის საჭიროა, რომ აკადემიურმა პერსონალმა ეფექტური პედაგოგიური მეთოდები შეარჩიოს, რაც მოსახლეობის შესახებ კურსის არსის კონტექტში იქნება განხილული მოცემულ სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: ეფექტური სწავლების მეთოდები, მოსახლეობის შესახებ კურსი, დემოგრაფია, მაგისტრანტები

შესავალი

მოსახლეობის შესწავლა მოითხოვს ცოდნისა და ემოციური ძალისხმევის მიმართ მასწავლებლის ღრმად ჰუმანიზაციას, რაც ქმნის მოსწავლეთა ღირებულებით დამოკიდებულებას სასწავლო მასალის აღქმის მიმართ.

მოსახლეობად ითვლება გარკვეულ გეოგრაფიულ საზღვრებში მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობა. მოსახლეობა საზოგადოების მთავარი სულიერი და მატერიალური კომპონენტია. მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი ზომაა. ამ კონტექსტში სტუდენტები სწავლობენ მათთვის ახალ ცნებებს - მოსახლეობის რეპროდუქციას, მოსახლეობის ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობას. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობა, როგორც ინდიკატორი, ასახავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების მრავალფეროვან პირობებსა და ფაქტორებს.

მოსახლეობას, როგორც სისტემას აქვს ღრმა სტრუქტურული მახასიათებლები. მოსახლეობის სტრუქტურული თავისებურებები ასახავს სოციალური განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს. მოსახლეობის კვლევებში აუცილებელია არა მხოლოდ შემეცნე-

[1] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის პროგრამების თანახელმძღვანელი, ელ-ფოსტა: tamaz.zubiashvili@tsu.ge

ბითი ამოცანების გადაჭრა, არამედ ეთიკური და იდეოლოგიური პრობლემების გააზრებაც. ამიტომ, სქესობრივი და ასაკობრივი შემადგენლობის, ეთნიკური და კონფესიური სტრუქტურის, ტერიტორიული ორგანიზაციისა და მოსახლეობის მექანიკური გადაადგილების შესწავლა უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტების მიერ ინფორმაციის გააზრებას იმ ბუნებრივ-ისტორიული და სოციალური ფაქტორების სტაბილური კავშირების შესახებ, რომლებიც ქმნიან ტერიტორიულ სოციალურ სისტემებს. ამ მიზეზების გამო, მოსახლეობის შესწავლისას მაგისტრანტების მიერ აუცილებელია დემოგრაფიული ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება (სტატისტიკური მონაცემები, თემატური რუქების დიდი რაოდენობა, დიაგრამები, რაც ახალია სტუდენტებისთვის, და ა.შ.), ხოლო აკადემიური პერსონალის მხრიდან- სწორი და ეფექტური სწავლების მეთოდოლოგიების შერჩევა.

I. კურსის შინაარსის ზოგადი ანალიზი და კურსის ავტორის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგიის მიმოხილვა

უნივერსიტეტში დემოგრაფიის სწავლების მეთოდოლოგია პედაგოგიურ მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი დისციპლინაა. იგი სწავლობს სტუდენტებისთვის დემოგრაფიული მეცნიერების საფუძვლების სწავლების პროცესის ორგანიზების შინაარსს, შაბლონებს, მეთოდებსა და საშუალებებს და უნდა მოარგოს მეცნიერული დემოგრაფია საუნივერსიტეტო განათლების საჭიროებებს, გახადოს იგი საუნივერსიტეტო საგნად.

დემოგრაფიის სწავლების მეთოდოლოგიის ზოგადი მიზნებია:

– უნივერსიტეტის (თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის) ევროპისმცოდნეობის პროგრამის მაგისტრატურის სტუდენტებისთვის აუცილებელი და შესაფერისი სამეცნიერო მასალის შერჩევა;

— მასალის გარკვეულ თანმიმდევრობაში მოყვანა;

— მასალის პრეზენტაციის, შესწავლისა და ათვისების მეთოდების სისტემის შემუშავება.

— მოსწავლეთა ცოდნის კონსოლიდაციის, განმეორებისა და გადამოწმების მეთოდების სისტემის შემუშავება.

თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური დემოგრაფიის ძირითად ამოცანებს შორის უნდა აღინიშნოს მოსახლეობის შესწავლა, მისი ზომა, სტრუქტურა და განაწილება სხვადასხვა დონის ტერიტორიებსა და დასახლებებში.

აშკარაა, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი უაღრესად მნიშვნელოვანია ტერიტორიის განვითარების ხარისხის დასახასიათებლად, ისევე როგორც ქალაქის მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი - ინდუსტრიალიზაციის ხარისხის საჩვენებლად.

ეკონომიკური დემოგრაფიის საუნივერსიტეტო სწავლებისას სტუდენტებისთვის „მოსახლეობის“ კატეგორიის გაცნობას თავისი მახასიათებლები აქვს და უნდა აიგოს როგორც ცოცხალი ამბავი კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის შესახებ. სხვადასხვა ქვეყნების, რეგიონების, რაიონების, უბნების მოსახლეობის ცხოვრების სურათები, რომლებსაც მასწავლებელი კლასში ქმნის, უნდა იყოს შერწყმული რაოდენობრივ მაჩვენებლებთან, რომელიც მოიცავს მოსახლეობის სიმჭიდროვეს, მოსახლეობის ზომას, შობადობას, სიკვდილიანობას და ა.შ.

ქვეყნის ან ტერიტორიის ეკონომიკური და დემოგრაფიული მახასიათებლის მინიჭებით მასწავლებელმა უნდა აჩვენოს დასახლებების ადგილმდებარეობის ძირითადი მახასიათებლები, მათი ფორმები და ტიპები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ამავდროულად, აუცილებელია ეროვნული თავისებურებების გათვალისწინება, რადგან მათ აქვთ ეკონომიკური მნიშვნელობა (შრომის უნარები, განათლებაში განსხვავებები, ტექნიკური კვალიფიკაცია).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის ქალაქად და სოფლად დაყოფას, მათ პროცენტულ თანაფარდობას. ურბანული და სოფლის მოსახლეობის განსხვავებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური დემოგრაფიისთვის. თუმცა, ქვეყნის მოსახლეობის სრული სურათის შესაქმნელად, ასევე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მონაცემები კლასობრივი და პროფესიული შემადგენლობის შესახებ.

ამჟამად უნივერსიტეტში (თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში) დემოგრაფიის სწავლების პროცესი რომ უფრო ცოცხალი და საინტერესო გახდეს, ამის მისაღწევად მეტი ყურადღება ექცევა მოსახლეობის შესწავლას, განსაკუთრებით ევროპის რეგიონებისა და ცალკეული ქვეყნების დახასიათებისას.

პასუხი კითხვაზე: "როგორ ცხოვრობენ ადამიანები?" მოიცავს ბევრ საკითხს: კულტურას, ყოველდღიურობას, ადათ-წესებს, პოლიტიკურ სისტემას და სოციალურ წესრიგს. ძირითადი მახასიათებლის ორი-სამი კონკრეტული მაგალითის ილუსტრირებით, შესაძლებელია მაგისტრანტებისთვის ზოგადი წარმოდგენა შეიქმნას ხალხთა ეროვნული ხასიათის თავისებურებებზე.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მეთოდოლოგიური რეკომენდაცია კურსის ფარგლებში თემის- „მსოფლიოს მოსახლეობის გეოგრაფია და დინამიკა“ შესწავლისას:

1. თემის დიდი მოცულობის გამო მას ეთმობა მინიმუმ ექვსი საათი. თემის ძირითადი დებულებები შემდგომ მეცადინეობებზე უნდა განვითარდეს, კერძოდ, — რეგიონული მიმოხილვისა და კაცობრიობის გლობალური პრობლემების გაცნობისას.

2. ამ თემის შესწავლისას სტუდენტები უნდა განაწყოთ ახალი ცოდნის ათვისებისთვის იმ მომენტიდან, როცა მათ წარმოდგენას შეუქმნით მოსახლეობის სიმჭიდროვეზე, განსახლების ფორმებზე, ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობაზე, შრომით რესურსებზე, ურბანიზაციაზე, აგლომერაციაზე და ა.შ.

3. ამ თემის მიზანია შემოვიტანოთ ახალი ცნებები, როგორიცაა „დემოგრაფიული პოლიტიკა“, „რელიგიური შემადგენლობა“, „სქესობრივი და ასაკობრივი პირამიდა“ და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობების განხილვას დემოგრაფიული, გეოგრაფიული, სტატისტიკური და კარტოგრაფიული წყაროებიდან. სასურველია, სტუდენტებთან ამ საკითხებზე მუშაობა ჩატარდეს პირისპირ, საკლასო ოთახში და არა დისტანციურად, ხოლო მომდევნო შეხვედრისთვის უნდა მივცეთ პრაქტიკული კომპონენტის შესრულებაზე ორიენტირებული საშინაო დავალება.

4. სტუდენტებს უნდა განვუვითაროთ გეგმისა და თეზისების მიხედვით ლექციების მოსმენის უნარი. ლექციაზე სტუდენტებს უნდა მივცეთ სპეციალური დავალებები, რომლებიც მიზნად ისახავს ძირითადი საკითხების გამოკვეთას, ძირითადი დებულებების გამოვლენას. ხელი უნდა შევუწყოთ, რომ შემოთავაზებული კონტურის სქემების მაგალითის გამოყენებით, დაისწავლონ ინფორმაციის დალაგება, შეიძინონ თვითკონტროლის უნარები გაკვეთილების შინაარსის ათვისების პროცესში, მოახდინონ ახალი მასალის კონსოლიდაცია.

5. დავუსახოთ იმგვარი ამოცანები, რომლებიც ქმნის სწავლების დიფერენცირებული მიდგომის შესაძლებლობას თითოეულ გაკვეთილზე და გაკვეთილის ცალკეულ ეტაპზე. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემოქმედებითი მუშაობის შესაძლო ვარიანტებს, სტუდენტების განსხვავებული მისწრაფებების გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს დიაგრამების შედგენა, რეფერატების მომზადება, მედიასთან მუშაობა.

6. ტესტური ამოცანები შეიძლება გამოყენებულ იქნას სტუდენტთა ცოდნის შესამოწმებლად.

სათანადოდ შემუშავებული სწავლების მეთოდოლოგია სხვადასხვა დონის სტუდენტებს ცოდნის უკეთ ათვისებისა და საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, სტუდენტებს ექნებათ წარმოდგენა სამყაროს ობიექტურ სურათზე, იმის გაცნობიერებით, რომ მოსახლეობა არის მთავარი დამაკავშირებელი ბუნებასა და საზოგადოებას შორის.

მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები უდიდეს როლს თამაშობს მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებაში. სტუდენტის გონებრივი აქტივობის უნარის მიზანმიმართულად სტიმულირებით, მასწავლებელი ერთდროულად ავითარებს აზროვნების აქტივობას, მაგისტრანტის დამოუკიდებლობას, ანალიზის სიღრმეს, სისწრაფეს, კრიტიკულობას, მოქნილობასა და სისტემატურობას. ამავდროულად ვითარდება და იხვეწება მაგისტრანტის კონცენტრაციის უნარები, მეხსიერება და წარმოსახვა.

მოსახლეობის კურსის შინაარსის სავალდებულო მინიმუმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მოსახლეობის ზრდა, დიდი რასები და მსოფლიოს ხალხები; ეთნოგენეზის თეორია; გეოგრაფიული განსხვავებები სიმჭიდროვესა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხში; დასახლების სახეები; რელიგიები; მსოფლიოს ცივილიზაციური რეგიონები; მოსახლეობის რაოდენობა და რეპროდუქცია; ბუნებრივი ზრდა და მისი ტიპები; მოსახლეობის დაბერება; დემოგრაფიული პოლიტიკა; სქესი, ასაკი და ეთნიკური შემადგენლობა; დიდი ერები და ენობრივი ოჯახები; საერთაშორისო მიგრაცია და მიგრაციის პოლიტიკა; ურბანიზაცია და მისი ფორმები, მაჩვენებლები, დონეები; მსოფლიოს ძირითადი ქალაქები და ურბანული აგლომერაციები; მსოფლიოს დიდი ქვეყნებისა და რეგიონების მოსახლეობის დონე და ცხოვრების ხარისხი.

მოსახლეობის შესახებ კურსის წამყვანი იდეებია, სტუდენტების მიერ იმის გააზრება, რომ:

1. მოსახლეობა არის საზოგადოების მატერიალური ცხოვრების საფუძველი, ჩვენი პლანეტის აქტიური ელემენტი.

2. ყველა რასის, ერისა და ეროვნების ადამიანებს თანაბრად შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მატერიალურ წარმოებაში და სულიერ ცხოვრებაში.

ამ იდეებზე დაყრდნობით კურსის ფარგლებში დეტალურად არის წარმოდგენილი მოსახლეობის შესახებ დაგროვილი ძირითადი სამეცნიერო ცოდნა:

1. მოსახლეობის რეპროდუქციის ცნება. მსოფლიოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის არსი და თავისებურებები.

2. სქესის, მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის, შრომითი რესურსების არსი და თავისებურებები.

3. მსოფლიოს ხალხთა კლასიფიკაცია ენობრივი ოჯახების მიხედვით და მათი გავრცელების ძირითადი მახასიათებლები.

4. ტერიტორიაზე მოსახლეობის განაწილების ძირითადი მახასიათებლები და მისი უთანასწორობის მიზეზები.

5. მოსახლეობის მიგრაციის სახეები და გარე მიგრაციის ძირითადი მიმართულებები, შრომითი მიგრაცია, ტვინების გადინება.

6. ურბანიზაციის ცნება. ურბანიზაციის დონეები და ტემპები მთელ მსოფლიოში და ცალკეულ რეგიონებში.

7. მოსახლეობის გეოგრაფიის, როგორც ეკონომიკური და სოციალური დემოგრაფიის დარგის იდეა.

8. თემის საკვანძო პროფესიული ტერმინებია: ა) მოსახლეობის რეპროდუქცია; ბ) რეპროდუქციის სახეები; გ) დემოგრაფიული კრიზისი (დეპოპულაცია); დ) დემოგრაფიული აფეთქება; ე) დემოგრაფიული პოლიტიკა; ვ) დემოგრაფიული გადასვლა; ზ) მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი; თ) ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა; ი) ეთნოსი; კ) ერთეროვანი და მრავალეროვნული სახელმწიფო; ლ) შრომითი მიგრაცია, მ) ინტელექტის (ე.წ. 'ტვინების') გადინება; ნ) ურბანიზაცია; ო) ურბანული აფეთქება.

ზემოაღნიშნულ თემებზე მასალის ათვისების შედეგად სტუდენტებმა უნდა შეიძინონ საჭირო ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, კერძოდ, გამოიყენონ რეპროდუქციის, მოსახლეობის შემადგენლობის, ურბანიზაციის დონეებისა და მაჩვენებლების ინდიკატორები; ასევე, - დიაგრამები, გრაფიკები და ცხრილები ტექსტის გარკვეული დებულებების ანალიზის, დაკონკრეტებისა და ჰიპოთეზების დასამტკიცებლად, საჭირო გამოთვლებისა და შედარებების გაკეთებისას; შეძლონ სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის წაკითხვა და ანალიზი; დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ დავალებების პასუხები ტექსტუალურად და ზეპირად; შეძლონ წაკითხულ ტექსტზე ანოტაციის გაკეთება.

კურსის ფარგლებში განსახილველ კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით მასწავლებლის წინაშე დგას შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1) გააცნოს სტუდენტებს მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური დემოგრაფიის ერთ-ერთი დარგის - მოსახლეობის გეოგრაფია - და მისი შესწავლის ძირითადი ობიექტები, მათ შორის: რაოდენობა, მოძრაობა, შემადგენლობა, განლაგება;

2) ახალი ცნებების დანერგვა: მოსახლეობის რეპროდუქცია, დემოგრაფიული პოლიტიკა, ემიგრაცია და იმიგრაცია, რელიგიური შემადგენლობა, მსოფლიო და ეროვნული რელიგიები და ა.შ.;

3) რუქებთან და გეოგრაფიულ მასალებთან მუშაობის უწყვეტობის უზრუნველყოფა, მაგისტრანტებისთვის რუქების, სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდების, დიაგრამების, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ამსახველი გრაფიკების წაკითხვისა და ანალიზის უნარის განვითარება;

4) მიზნობრივი ამოცანებით ლექციების მოსმენის, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროსთან დამოუკიდებლად მუშაობის, გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარმოდგენის უნარის განვითარება;

5) მაგისტრანტების გათვითცნობიერება შემდეგა საკითხებში: რომ ეროვნული და რელიგიური მახასიათებლების, კულტურული მემკვიდრეობის ცოდნის გარეშე შეუძლებელია მრავალფეროვანი თანამედროვე სამყაროს გაგება; რომ დემოგრაფიული პრობლემები თითოეულმა სახელმწიფომ თვითონ უნდა გადაჭრას; რომ შრომითი რესურსები პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ

განვითარებაზე; რომ ქალაქებში მოსახლეობის კონცენტრაცია თანამედროვე დემოგრაფიის მთავარი მახასიათებელია, ხოლო ურბანიზაციის პროცესების მართვა ერთ-ერთი გლობალური პრობლემაა.

უნივერსიტეტში შესაძლებელია სრულყოფილად განვავითაროთ დემოგრაფიული ცოდნის მახასიათებელი ისეთი თვისებები, როგორიცაა საკითხის მთლიანობაში აღქმა და ინტერდისციპლინურობა. ამ მხრივ, სწავლებაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს დემოგრაფიული საკითხებისადმი მიძღვნილ სამუშაო შეხვედრებს, სემინარებსა და კონფერენციებს. პრაქტიკული სწავლება დემოგრაფიაში უნდა განიხილებოდეს ყველაზე ფართო ასპექტში - როგორც პრაქტიკული მუშაობის ერთგვარი სისტემა სტატისტიკურ მასალასთან რუკების, დიაგრამების, ცხრილების და ა.შ. გამოყენებით. ეს სამუშაოები უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა დამოუკიდებელ აქტივობას. სემინარები და კონფერენციები შეიძლება ჩატარდეს როგორც დამოუკიდებლად, ასევე, ტრენინგის სახით ტრადიციული სალექციო და სემინარის ფორმატში. სტუდენტთა საქმიანობა მიმართული უნდა იყოს დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრაზე. ყურადღება უნდა მიექცეს შემოქმედებით მუშაობას და კითხვებზე პასუხების დამოუკიდებელ ძიებას.

მასწავლებლის ამოცანა არის ფაქტობრივ და თეორიულ მასალას, ცალკეულ და ზოგად ცნებებს შორის ოპტიმალური ბალანსის მიღწევა, მაგისტრანტთა მიერ ამ ცნებების ათვისება და ჩამოყალიბება. სტუდენტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს დაეუფლოს დემოგრაფიის კურსის სავალდებულო მინიმალურ შინაარსს, შეიძინოს ამ ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი გარკვეული პრაქტიკული ამოცანების შესრულებისას, სემინარებისთვის, კონფერენციებისთვის, ინტერდისციპლინარული გაკვეთილებისთვის და ა.შ. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ მომავალში თვითგანათლებისთვის ახალი გზების შემუშავებას.

ამჟამად მიმდინარეობს საგანმანათლებლო კურსებისა და პროგრამების, მათ შორის, დემოგრაფიის რადიკალური რეფორმა, რაც დაკავშირებულია განათლების ჰუმანიზაციისა და სოციოლოგიზაციის პროცესებთან. ეკონომიკური და სოციალური დემოგრაფიის სფეროში ჰუმანიზაცია ნიშნავს საგნის წმინდა ინდუსტრიული ინტერპრეტაციის უარყოფას, კერძოდ, იმ იდეიდან გადახვევას, რომ მოსახლეობა მხოლოდ როგორც შრომითი რესურსების, პროდუქტებისა და საკვების მომხმარებლად უნდა განვიხილოთ. დემოგრაფიის სწავლება ეკონომიკური დემოგრაფიის ელემენტარულ საფუძვლებთან ერთად უნდა მოიცავდეს კულტურათა და რელიგიის გეოგრაფიას, ეთნიკურ და ისტორიულ გეოგრაფიას, გაერთიანებულ ზოგად ცივილიზაციურ რეგიონალურ სინთეზში.

მოსახლეობის კურსის შინაარსობრივად მეორე ჯვარედინი მიმართულება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჰუმანიზაციასთან - სოციოლოგიზაციასთან. ის ასახავს ყურადღებას პიროვნულ ფაქტორზე, სოციალურ სისტემებზე. მოსახლეობის შესახებ კურსის სილაბუსის შედგენისას აუცილებელია ნ. ბარანსკის (N. N. Baransky) ცნობილი პოზიციიდან გამოვიდეთ, რომელიც გამომდინარეობდა იქედან, რომ დემოგრაფიის დისციპლინა უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ მოსახლეობის ზრდას, განლაგებას, შემადგენლობას და განსახლებას, არამედ მანდ ასევე უნდაუპასუხოს მთავარ კითხვას: "როგორ ცხოვრობს ხალხი?"; ხოლო ეს უკანასკნელი, მისი აზრით, თავის მხრივ, მოიცავს ძალიან, ძალიან ბევრ საკითხს: კულტურას, ყოველდღიურობას, წეს-ჩვეულებებს, პოლიტიკურ სისტემას და სოციალურ წესრიგს. ამის შესაბამისად, მოსახლეობის თემებში მაქსიმალურად უნდა გაძლიერდეს სოციალური ასპექტები, რომლებიც ეხება სოციალურ შემადგენლობას, რასობრივ, ეროვნულ, რელიგიურ პრობლემებს, დასაქმებას, ხარისხსა და ცხოვრების დონეს.

დემოგრაფიის შესახებ თანამედროვე კურსების შინაარსში მოსახლეობის პრობლემა საკმაოდ თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი. მაგალითად, თითქმის ყველგან გვხვდება ისეთი საკითხები, როგორიცაა რასების თანასწორობის თემა, განყოფილება კონტინენტების მოსახლეობის შესახებ, თემა „მსოფლიოს მოსახლეობის გეოგრაფია“. სტუდენტებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ იპოვონ სოციალურ-დემოგრაფიული შინაარსის მრავალი ნარკვევი მაკსაკოვსკის (V.P. Maksakovsky) „მსოფლიოს გეოგრაფიულ სურათში“. დადებით ფაქტორად მინდა აღვნიშნო გაზრდილი ინტერესი ეთნოგრაფიული კონცეფციების მიმართ, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების სოციალური კულტურის დონის ამაღლებას.

ვეთანხმები მოწინავე მეცნიერების თვალსაზრისს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის პრობლემების ამსახველი თემების მთელი მრავალფეროვნება შეიძლება დაიყოს სამ მთავარ ბლოკად: 1) მსოფლიოს დემოგრაფიული მდგომარეობა: მოსახლეობის რაოდენობა და დინამიკა, რეპროდუქცია, სქესი და ასაკობრივი შემადგენლობა, მიგრაცია და მოსახლეობის განლაგება , ურბანიზაცია; 2) კულტურების, რე-

ლიგიებისა და ცივილიზაციების გეოგრაფია (ეთნიკური და რელიგიური ურთიერთობები, ეთნო-ლინგვისტური შემადგენლობა); 3) ხარისხი, მოსახლეობის ცხოვრების დონე და გლობალური პრობლემები.

თემების პირველი ბლოკი ფართოდ არის წარმოდგენილი მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური დემოგრაფიის ორ მთავარ სახელმძღვანელოში: V.P. Maksakovsky, Yu. N. Gladkiy. მათში განხილულია ისეთი ცნებები და პროცესები, როგორიცაა მოსახლეობის დინამიკა, მოსახლეობის რეპროდუქცია, დემოგრაფიული აფეთქება და კრიზისი, დეპოპულაციის პროცესები, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, მოსახლეობის მიგრაცია, ურბანიზაცია, აგრეთვე ამ პროცესების მიზეზები და ფაქტორები, მათი გეოგრაფია და პრობლემები.

კულტურების, მსოფლიო რელიგიების, ცივილიზაციებისა და ეთნიკური ჯგუფების გეოგრაფიასთან დაკავშირებული თემების მეორე ბლოკი, ასევე, ასახულია ვ.პ. მაკსაკოვსკის სახელმძღვანელოში, სადაც ასეთი ინფორმაცია მოცემულია დამატებით ტექსტში (საინტერესო ფაქტები). სახელმძღვანელოში N. Gladkiy, ეს გამოყოფილია ცალკე თავში სახელწოდებით- „კულტურების, რელიგიების, ცივილიზაციების გეოგრაფია“. აქ მოცემულია მეცნიერებაში ისეთი ახალი და არასაკმარისად ჩამოყალიბებული ცნებების განმარტებები, როგორიცაა ცივილიზაცია, კულტურის გეოგრაფია. კულტურისა და რელიგიის გეოგრაფიის შესწავლის მნიშვნელობა გამართლებულია იმით, რომ ორივე გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე, სამუშაო საქმიანობაზე და ეკონომიკის სპეციალიზაციაზე. თავში საუბარია რელიგიისა და კულტურის კავშირზე, სხვადასხვა რელიგიის, ცივილიზაციის ძირითად მახასიათებლებზე და მათ გეოგრაფიულ გავრცელებაზე.

მოსახლეობის ცხოვრების სტილის გეოგრაფია თითქმის მთლიანად ეთმობა საკითხავ წიგნს, "მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია", რომელიც გამიზნულია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის. მასში მოცემულია თავები, რომლებიც განიხილავს მსოფლიოს ნაწილებს: „ევროპელები და მათი ცხოვრების წესი“, „აზიელები და მათი ცხოვრების წესი“, „ამერიკელები და მათი ცხოვრების წესი“ და ა.შ.,

კ. ბრიუს ნიუბოლდის სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის: „მოსახლეობის გეოგრაფია: ინსტრუმენტები და საკითხები“ სთავაზობს სტუდენტებს უახლეს დებატებსა და განახლებულ ინფორმაციას გლობალური მოსახლეობის დინამიკის შესახებ. განხილულია სიკვდილიანობის მაჩვენებლები, ნაყოფიერების ტენდენციები, მიგრაციული ნაკადები. მკითხველი გააცნობიერებს ძირითად ცნებებს, რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის გეოგრაფიის გასაგებად. ავტორს წარმოდგენილი აქვს მოსახლეობის კვლევის მნიშვნელოვანი თემები სხვადასხვა სივრცულ მასშტაბებში. სახელმძღვანელოს ყველაზე საინტერესო თემებს შორის აღსანიშნავია: „რელიგიათა გეოგრაფია“, „კაცობრიობა ხალხთა მოზაიკაა“, „ევროპული ცივილიზაციის განსაკუთრებული როლი“, „ტრადიციული აფრიკული ცივილიზაციის თავისებურებები“, „თანამედროვე ამერიკის კულტურები“.

სახელმძღვანელოში - „გლობალურ გეოგრაფიაში“ თემაზე „ჩრდილოეთი — სამხრეთი: ჩამორჩენილობის პრობლემა“ ნათქვამია, რომ ეს ცნებები გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის ჩამორჩენილობის ხარისხის დასადგენად, რომ სიღარიბე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ადამიანების სულიერი ცხოვრებაზე. თემა „საკვების პრობლემა“ აღწერს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის კვების ტიპებს. ცალკე თემებში ხაზგასმულია ეთნიკური კრიზისების, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის პრობლემები და ურბანიზაციის პრობლემები.

სახელმძღვანელოში „გეოგრაფია. მსოფლიოს მოსახლეობა და ეკონომიკა“ ზემოაღნიშნულ საკითხებს ეძღვნება ცალკე თავი: „მოხმარების პრობლემები. ადამიანის ცხოვრების დონე და ხარისხი“. აქ კონკრეტულად ხასიათდება ცხოვრების დონის, ცხოვრების ხარისხისა და ადამიანური განვითარების ინდექსის ცნებები; ამ ინდიკატორის მიხედვით ნაჩვენებია მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნის ადგილი სპეციალურ შკალაზე.

II. სტუდენტების შეფასება

უმაღლესი განათლების თანამედროვე პედაგოგიკაში არსებობს სტუდენტების შემეცნებითი საქმიანობის შედეგების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომა. კურსის სწავლებისას ვიყენებთ შემდეგ სისტემას სტუდენტების ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად: „შესანიშნავი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“ და „არადამაკმაყოფილებელი“.

შესანიშნავ შეფასებას იმსახურებს სტუდენტი, რომელმაც გამოავლინა ყოვლისმომცველი, სისტემატური და სიღრმისეული ცოდნა, პროგრამით გათვალისწინებული დავალებების დამოუკიდებლად შესრულების უნარი, მათ შორის, დაამუშავა პროგრამით რეკომენდებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. ასეთი შეფასება გულისხმობს, აგრეთვე, სტუდენტის მიერ კურსის განმავლობაში ნასწავლი დისციპლინისთვის დამახასიათებელი ძირითადი ცნებებისა და პროფესიისთვის მათი მნიშვნელობის ურთიერთმიმართების გაგების უნარს.

შეფასება „კარგი" ენიჭება სტუდენტს, რომელმაც სრულად აითვისა საგანმანათლებლო და პროგრამული მასალა, წარმატებით ასრულებს პროგრამით გათვალისწინებულ დავალებებს, დამუშავებული აქვს პროგრამის მიერ რეკომენდებული ძირითადი ლიტერატურა, ანუ სტუდენტს, რომელმაც აჩვენა ცოდნის სისტემატური ხასიათი დისციპლინაში და შეუძლია მათი დამოუკიდებელი შევსება და განახლება შემდგომი აკადემიური მუშაობისა და პროფესიული საქმიანობის პროცესში.

სტუდენტი, რომელმაც გამოავლინა ცოდნა საბაზისო საგანმანათლებლო მასალის შესახებ, რამდენადაც ეს აუცილებელია შემდგომი სწავლისთვის და პროფესიაში მომავალი მუშაობისთვის, შეუძლია შეასრულოს პროგრამით გათვალისწინებული დავალებები, იცნობს პროგრამის მიერ რეკომენდებულ ძირითად ლიტერატურას, იმსახურებს „დამაკმაყოფილებელ" შეფასებას. როგორც წესი, ეს შეფასება ენიჭებათ სტუდენტებს, რომლებმაც დაუშვეს შეცდომები გამოცდაზე პასუხისა და საგამოცდო დავალების შესრულებისას, მაგრამ გამოავლინეს მათი აღმოფხვრის უნარი.

შეფასება „არადამაკმაყოფილებელი" ენიჭება სტუდენტს, რომლის ცოდნას აქვს ხარვეზები, რომელმაც დაუშვა ფუნდამენტური შეცდომები პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებაში.

დასკვნა

უდავოა, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის პრობლემები და მათი ინდიკატორები, რომლებსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანების ცხოვრების თავისებურებებისთვის, ყოვლისმომცველად უნდა გაიშალოს მოსახლეობის შესახებ სასწავლო კურსებში. ზოგადად, შეგვიძლია ვიმედოვნებთ, რომ მეტი ყურადღება დაეთმობა მოსახლეობისა და ადამიანური პრობლემების შესწავლას, შესაბამისად, მოსახლეობის კურსი საბოლოოდ გადაიქცევა ადამიანზე და მის ცხოვრებაზე ორიენტირებულ მთლიან, ჰარმონიულ კურსად, ხოლო ამ პროცესში სწორი და ეფექტური სწავლების მეთოდოლოგიების შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება.

ბიბლიოგრაფია

1. Jennifer Hickes Lundquist, Duglas L. Anderton, David Yaukey. Demography. The Study of Human Population. Fourth edition, Waveland Press, Inc. Illinois, 2015.
2. K. Bruce Newbold. Population Geography: Tools and Issues. Fourth edition. The Rowman & Littlefield Publishing Group. Maryland, 2021.
3. M.R. Hulsizer, L.M. Woolf, A Guide to Teaching Statistics. N.-Y.: Wiley-Blackwell, 2008.
4. Paul Burden, David Byrd. Methods for Effective Teaching: Meeting the Needs of All Students. 8th Edition. Pearson, 2018.
5. Peter Westwood. What teachers need to know about teaching methods. Victoria: ACER Press, 2008.
6. Teaching Skills - Trainee's Book, Educasia, 2015.
7. United Nations. World Population Policies, New York, 2013.
8. Баранский Н.Н. Методика преподавания экономической географии 2-е изд. переработанное. – М: Просвещение, 1990.